

გამოცემის მი თვეში ერთხელ

თემატიკაში სიახლის მაძიებელი და შემოქმედი ექიმებისათვის

ნომერშია:

- ▼
-Heel ჩემპიონთა შორის უფრო კოკულარულია
- ▼
Euphrasium compositum S-ის ანტივირუსული მოქმედების მქონეა
- ▼
ზომიერით რესპირატორულ ვირუსულ Gripp-Heel-ის ანტივირუსული მოქმედების in vitro კვლევა*
- ▼
პრეპარატი Engystol-ის ანტივირუსული აქტივობა. in vitro ანალიზი
- ▼
იმერეთის რეგიონული სამედიცინო-პრაქტიკული კონფერენცია

რესპირატორთა II საერთაშორისო კონგრესი და -Heel-ის სიმპოზიუმი

2010 წლის 10-12 ივნისს ბათუმში, სასტუმრო შერატონში საქართველოს რესპირაციული ასოციაცია ატარებს რესპირაციული კონგრესს, რომელიც ეძღვნება რესპირაციული სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს.

კონგრესის ფარგლებში საქართველოს ბიოლოგიური მედიცინის საზოგადოება და გერმანული კომპანია HEEL ატარებს სიმპოზიუმს თემაზე: „ბიორეგულაციური თერაპიის შესაძლებლობები და პერსპექტივები სასუნთქი ორგანოების მწვავე და ქრონიკული დაავადებების კომპლექსურ მკურნალობაში“. მომხსენებელი მედიცინის დოქტორი, პროფესორი ივანე პეტრეს ძე კატერინი – უკრაინის მედიცინისა და სტომატოლოგიის აკადემიის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე (ქ. პოლტავა).

სიმპოზიუმი ჩატარდება 11 ივნისს 17 საათზე სასტუმრო შერატონის დარბაზში „ბეგონია“. დასწრება მხოლოდ რეგისტრირებული დელეგატებისათვის.



და სტომატოლოგიის აკადემიის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე (ქ. პოლტავა).

-Heel ჩემპიონთა შორის უფრო კოკულარულია

ცოტა ხნის წინ ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენტაუნში ჩატარდა ათლეტიზმის მსოფლიო პირად-გუნდური ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრა ოკეანის გადაღმა და ტრადიციულად, ამჯერადაც შინ უხვი ნადავლით დახუნძლული დაბრუნდა. ჩვენმა ათლეტებმა ბორდენტაუნში სხვადასხვა წონით და ასაკობრივ კატეგორიაში ათი ოქროს, ორი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ესენი არიან ლევან გილიკაშვილი, ლევან ციციშვილი, ნიკოლოზ ვეფხვაძე, გელა გელაშვილი,

თეიმურაზ ლუტიძე, ავთანდილ მამალაძე, გერონტი ჯგუზაძე, რამაზ თარაშვილი, ნიკოლოზ სარალიძე და ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, პროფესორი ზურაბ ჭავჭავაძე.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს „გოლიათებს“ მორიგ დიდ გამარჯვებას მსოფლიო ასპარეზზე. დაე, კიდევ მრავალჯერ გავეხარებინოთ ქართველი გულშემატკივარი თქვენი გამარჯვებებით! ჩვენც თქვენთან ვართ!

რედაქცია

გვსურს მაღლიერების გრძნობით ავლნიშნოთ კომპანია „ნატუროპატიის“ დახმარება ჩვენს წარმატებებში. მოგეხსენებათ, რაოდენ მნიშვნელოვანია სპორტსმენისათვის ჯანმრთელობა. ამას ემატება ისიც, რომ სპორტში მრავალი მედიკამენტი

აქრძალულია ანტიდოპინგური კომიტეტის მიერ და რთულია ეფექტური და უვნებელი პრეპარატის პოვნა, რომელიც მიღებული ტრავმების შემდეგ, სპორტსმენს შვევას მისცემს.

„ნატუროპატიან“

ჩვენი ურთიერთობა ხუთიოდე წლის წინ დაიწყო, როდესაც ჩვენმა ცნობილმა ვეტერანმა, ძალისმიერ სამჭიდში მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონმა – იოსებ ხარაბაძემ გვიჩვენა – რუმალონი და არტეპარონი, რომელსაც იმ დროისათვის სახსრების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის ვხმარობდით, გერმანული

კომპანია -Heel-ის ჰომეოპათიური მედიკამენტებით ცეელით (Zeel T) და დისკუს კომპოზიტიუმით (Discus compositum) შეგვეცვალა. შემდგომში, ფედერაციის პრეზიდენტის ნიკოლოზ სარალიძის ინიციატივით, ტრავმული (Traumeel S) და სხვა ბიორეგულაციური პრეპარატებიც გამოვცადეთ და შედეგებმა მოლოდინს გადაჭარბა. დღეს კი დიდი დატვირთვით ვარჯიში წარმოუდგენლად მიგვაჩნია აღნიშნული პრეპარატების გამოყენების გარეშე. ტრავმების მკურნალობაში ფასდაუდებელ დახმარებას გვიწვევს „ნატუროპატიან“ არსებული კლინიკა „ბიომედი“. გვინდა „ნატუროპატიის“ და მის ხელმძღვანელს ბ-ნ თენგიზ ტერუნაშვილს დიდი მადლობა გადავუხადოთ გაწეული დახმარებისათვის.

ზურაბ ჭავჭავაძე

ათლეტიზმის ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი



Euphorbium compositum S-ის ანტივირუსული მოქმედების მექანიზმი

სტატიის რეზიუმე: Heine H. Zum antiviralen Wirkmechanismus von Euphorbium compositum S. Biol Med 2001;30 (4):209-10

პრაქტიკოსი ექიმები ხშირად მიუთითებენ Euphorbium compositum S-ის ნაზალური სპრეის გამოყენებისას Herpes zoster-ის სწრაფი განკურნების შესახებ. ბოლო წლებში აღწერილია მსგავსი მრავალი შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრეპარატის ანტივირუსული მოქმედება ადრე აღწერეს (3), მისი მოქმედების მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ იყო. გადავწყვიტეთ, წარმოგვედგინა ერთ-ერთი ასეთი კვლევა.

ციტოკინებით რეგულირებადი T-უჯრედული პასუხი ვირუსებზე

ცნობილია, რომ ანტივირუსული დაცვის პროცესი ხორციელდება სპეციფიკური და არასპეციფიკური მექანიზმებით. სპეციფიკური პასუხი გულისხმობს Th-ლიმფოციტებით კონტროლირებადი ჰუმორული ანტივირუსული ანტიბიოციტების წარმოქმნას B-ლიმფოციტების მიერ. ამავე დროს ადგილი აქვს ინტერფერონების პროდუქციას, რომელიც ვირუსულ სტიმულირებაზე საპასუხოდ ხდება ორგანიზმის მრავალრიცხოვანი უჯრედების მიერ. ამასთანავე, ამ ციტოკინების უმცირეს კონცენტრაციებსაც კი (10⁻¹¹) სარწმუნო ანტივირუსული ეფექტი გააჩნია (1).

კომპლექსური პრეპარატებისგან შემდგარი ანტიპროტოქსიკური საშუალებები შეიცავს D2-D12 პოტენციების (საწყისი სუბსტანციები 10⁻²-10⁻¹² განზავებით) მქონე კომპონენტებს, რომელიც წარმოადგენს „ციტოკინების ენაზე მოლაპარაკე“ აუცილებელ კონცენტრაციას (3). აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ციტოკინების ქსელი აერთიანებს ორგანიზმის ნერვულ, ენდოკრინულ და იმუნოლოგიურ სტრუქტურებს ერთ რეგულაციურ მექანიზმად (1,3). ვირუსების ელიმინაციაში ძირითადი როლი ენიჭება ციტოტოქსიკურ (CD8+) T-ლიმფოციტებს (CTL). (1,6). ისინი შეიცნობენ ინფიცირებული უჯრედების მემბრანებზე წარდგენილ ვირუსულ ანტიგენებს MHC (Major Histocompatibility Complex) იმ კლასის მოლეკულებთან კომპლექსში. ამის შემდეგ T ციტოტოქსიკური უჯრედი უგზავნის ვირუსინფიცირებულ უჯრედს აპოპტოზის სიგნალს (5). ამ მიზნით ისინი ახდენენ FasL (CD95) – ლიგანდების ექსპრესიას, რომლებსაც იკავშირებენ FasR რეცეპტორები (იგი პრაქტიკულად ყველა უჯრედს გააჩნია). ამის ხარჯზე ვირუსებით დაზიანებულ უჯრედებში ირთება აპოპტოზის პროგრამა. ამავდროულად T ციტოტოქსიკური უჯრედები გამოყოფენ პერფორინებს, რომელიც ხელს უწყობს სამიზნე უჯრედების მემბრანაზე გამჭოლი ტრანსმემბრანული არხების ფორმირებას, რომელშიც შედის აპოპტოზის მექანიზმის ჩამრთველი ციტოტოქსიკური მოლეკულები – გრანზიმები (1,7). T-ციტოტოქსიკური ლიმფოციტები წარმოქმნიან ინტერფერონებს (IFN) და TNF-α-ს (Tumor Necrosis Factor-α) (7).

ეუფორბიუმ კომპოზიტუმის ანტივირუსული არაციტოტოქსიკური მოქმედება

ინტერფერონს არ გააჩნია პირდაპირი ანტივირუსული მოქმედება. იგი ახდენს რეზისტენტობის მექანიზმის ინდუცირებას 2¹-5¹-ოლოგოადენილატ-სინთეტაზას და Mx-პროტეინების სინთეზის ხარჯზე, რომელიც ვირუსულ ნაწილაკებს ბლოკავს რეპლიკაციის სხვადასხვა საფეხურზე (7). ინტერფერონები წარმოადგენს მაკროფაგი/მონოციტის პოტენციურ აქტივატორებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება TNF-α და ინტერლეიკინი-12 (IL-12). ამ

უკანასკნელს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რამდენადაც იგი იწვევს NK-უჯრედების სტიმულირებას და γ-ინტერფერონის გაძლიერებულ სინთეზს (2,7). γ-ინტერფერონი, ამავე დროს, ხელს უწყობს Th-ლიმფოციტების Th1 ქვეპოპულაციად ლიფერენცირებას.

მსგავსი არაციტოტოქსიკური და ინტერფერონის ანტივირუსული მოქმედება შეიძლება გააქტივებულ იქნას პრეპარატი ეუფორბიუმ კომპოზიტუმის (Euphorbium compositum S) კომპონენტებით. როგორც ჯანმრთელი პრობანდების სისხლის კულტურაზე ჩატარებულმა პირველმა გამოკვლევებმა გვჩვენა, პრეპარატის პოტენციურ კომპონენტებს ცალ-ცალკე შეუძლია ლეიკოციტებში ინტერფერონის სინთეზირების (ცხ.) სტიმულირება (6).

ჰომეოპათიური თერაპიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტერფერონით რეგულირებული ანტივირუსული მოქმედების არასპეციფიკურობას. ე.ი. პრეპარატი ეუფორბიუმ კომპოზიტუმი (Euphorbium compositum S) ფლობს ანტივირუსული გამოყენების ფართო პოტენციალს და არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. ამასთან ერთად, განიხილება საკითხი ნეირამინიდაზაზე (3) პრეპარატ ეუფორბიუმ კომპოზიტუმის (Euphorbium compositum S) და მისი კომპონენტების დამატებითი მაინჰიბირებელი მოქმედების შესახებ, რის შედეგადაც გრიპის ვირუსისათვის ხელმისაწვდომი აღარ არის უჯრედი-მასპინძელი.

ლიტერატურა

1. Abbas A, et al. Cellular and molecular immunology. Philadelphia, London: WB Saunders; 1997; 250-77 (Cytokines), 342-61 (immunity to microbes)
2. Biron CA, Gazzinelli RT. Effects of IL-12 on immune response to microbial infections: a key mediator in regulating disease outcome. Curr Opin immunol 1995; 7: 485-96
3. Heine H. Nicht-zytotoxischer antiviraler Wirkmechanismus eines Komplexhomöopathikums. Ärztezeitschrift für Naturheilverfahren 2000; 41: 542-7
4. Laver G, et al. Entwaffnung von Grippeviren. Spektrum der Wissenschaft 1999; 3: 70-9
5. Razwi ES, Welsch RM. Apoptosis in viral infections. Adv Virus Res 1995; 45: 1-60
6. Schmolz M, Metelmann H. Einzelkomponenten eines homöopathischen Komplexmittels zur Behandlung entzündlicher Erkrankungen der Nase modulieren die Zytokinsynthese menschlicher Leukozyten. Biol Med 1998; 27: 155-8
7. Thimme R, Blum H. T-zell-Antwort gegen Viren. Eine neue nich-zytotoxische antivirale Strategie. Dtsch Med Wochenschr 1998; 123: 1007-8
8. Ziegler D, Hutchison H. Coupled enzyme system for measuring viral neuraminidase activity. Appl Microbiol 1972; 23: 1060-5



სუბსტანცია	Euphorbium resinifera			Hepar sulfuris				
ციტოკინი	გამა-ინტერფერონი			გამა-ინტერფერონი				
პრობანდი	A	B	C	A	B	C		
D4	47%	50%	13%	D4	47%	13%	13%	
პოტენცია	D6	47%	33%	-52%	D6	7%	34%	-27%
	D8	20%	-9%	43%	D8	32%	8%	34%

ცხრილი. სხვადასხვა ჯანმრთელი პრობანდის (A, B, C) სისხლის კულტურაზე ELISA-ტესტით გაზომილი გამა-ინტერფერონის სინთეზი პრეპარატ ეუფორბიუმ კომპოზიტუმის (Euphorbium compositum S) ცალკეული პოტენციურ კომპონენტების (6) დამატებისას. კულტურები სტიმულირებულია ჯგუფის სპეციფიკური კოსტიმულატორების საშუალებით. საკონტროლო ჯგუფის მონაცემები მიჩნეულია 100%-ად. ნაჩვენებია საკონტროლო მნიშვნელობიდან ციტოკინების დონის ინდივიდუალური გადახრა. მაჩვენებლები დაწყებული +20%-დან ითვლება კორექტულ ფარმაკოლოგიურ ეფექტად (3).

ზოგიერთ რესპირატორულ ვირუსზე Gripp-Heel-ის ანტივირუსული მოქმედების in vitro კვლევა*


*(სტატიის რეფერატი: Glatthaar-Saalmuller B. In vitro evaluation of the antiviral effects of the homeopathic preparation Gripp-Heel on selected respiratory viruses. Can J Phision Pharmacol 2007, 85: 1084-1090)

ჯანდაცვის სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვირუსულ ინფექციებს. გარდა მთელი რიგი ვირუსებისა, რომლებიც იწვევენ ზედა სასუნთქი გზების ინფექციებსა და გაციებით გამოწვეულ დაავადებებს, არსებობს ვირუსების მთელი რიგი (მაგალითად ჰერპესის ვირუსი), რომლებიც არ ვლინდება დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომების სახით, მაგრამ სუბრესულ ზემოქმედებას ახდენს იმუნურ სისტემაზე და შეიძლება სუპერინ-


აძლებლობა მისცა ევარაუდით მისი ვირუსული რეპლიკაციური მექანიზმის არსებობის შესახებ, რაც დადასტურდა მოცემულ კვლევაში.

პრეპარატი გრიპ-ჰელის (Gripp-Heel) გამოკვლევისას არ გამოვლენილა მისი ციტოტოქსიკურობა. პრეპარატი არ მოქმედებს ტესტირებად უჯრედებზე.


გრიპ-ჰელის (Gripp-Heel) ანტივირუსული ეფექტურობა აციკლოვირის,




ნახ. 1. გრიპ-ჰელის ზემოქმედებით ადენოვირუსი 5-ის შედარებითი ინჰიბირება. **სტატისტიკური სანდოობა p<0,01



ნახ. 2. გრიპ-ჰელის ზემოქმედებით A გრიპის ვირუსის შედარებითი ინჰიბირება. **სტატისტიკური სანდოობა p<0,05, ***სტატისტიკური სანდოობა p<0.001.



ნახ. 3. გრიპ-ჰელის ზემოქმედებით პარაგრპ 3-ის შედარებითი ინჰიბირება. **სტატისტიკური სანდოობა p<0,01, ***სტატისტიკური სანდოობა p<0,001.



ნახ. 4. გრიპ-ჰელის ზემოქმედებით კოქსაკი 9 ვირუსის შედარებითი ინჰიბირება. *სტატისტიკური სანდოობა p<0,05, ***სტატისტიკური სანდოობა p<0,001

ფექციის განვითარებაც კი გამოიწვიოს.

ეფექტური სინთეზური პრეპარატების არსებობასთან ერთად, დღეისათვის ფიტოთერაპიისა და ჰომეოპათიის სფეროშიც მიმდინარეობს ანტივირუსული საშუალებების ძიება. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს კომპლექსური ჰომეოპათიური პრეპარატი გრიპ-ჰელი (Gripp-Heel) („Biologische Heilmittel Heel GmbH“). Gripp-Heel-ის შემადგენლობაში შედის ხუთი აქტიური კომპონენტი: Aconitum, Bryonia, Lachesis, Eupatorium perfoliatum და Phosphorus ჰომეოპათიურ განზავებებში. აღნიშნული პრეპარატი გამოიყენება გრიპოზული ინფექციების პროფილაქტიკისა და თერაპიისათვის. არსებული მონაცემების თანახმად ის სიმპტომური თერაპიის ეფექტურობით სალიცილმუჟავას უტოლდება.

გრიპ-ჰელმა (Gripp-Heel) in-vitro ტესტირება გაიარა შემდეგ ვირუსებზე: A გრიპის, ადამიანის პარაგრპის 3, კოქსაკი A9 ტიპის, ადენოვირუსი 5, რინოვირუსი B(HRV14) და PCB რინოსინციტიალური ვირუსი. რეფერენტულ სუბსტანციებად გამოიყენეს აციკლოვირი, რიბავირინი და ამანტადინი.

გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა პრეპარატ გრიპ-ჰელის სარწმუნო ანტივირუსული მოქმედება ზედა სასუნთქი გზების ინფექციების გამომწვევი ვირუსების ფართო სპექტრზე. ამასთანავე მისი მოქმედება ვრცელდებოდა როგორც ღნმ-, ისე რნმ-ვირუსებზე. მაქსიმალური ეფექტი აღინიშნა გრიპ-ჰელის სტანდარტული დოზის 0,2 კონცენტრაციისას (დოზა შემცირებული იქნა ექსპერიმენტის შედეგების ზუსტი ვერიფიკაციის მიზნით). ვირუსის ტიპისა და კონცენტრაციიდან გამომდინარე მაინჰიბირებელი ეფექტი 20-40%-ს შეადგენდა და სტატისტიკურად სარწმუნო იყო. პრეპარატის მოქმედება დოზადაპოკიდებულია და მცირდება მასში შემავალი ნივთიერების კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად.

ძველ კვლევებში ნაჩვენებია გრიპ-ჰელის (Gripp-Heel) ზემოქმედება გაციებით გამოწვეული დაავადებების სიმპტომატიკაზე (თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი, ხველა, ყელის ტკივილი), იგი ეფექტით უთანაბრდება სიცხის დამწვე და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს. ამასთანავე, ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით პრეპარატი გრიპ-ჰელი (Gripp-Heel) აღემატება კიდევაც საკონტროლო ჯგუფის პრეპარატებზე. ამ ფაქტმა ავტორებს შეს-

ამანტადინის და რიბავირინის მოქმედებასთან შედარებით უფრო დაბალი აღმოჩნდა. მაგრამ, ეს პრეპარატები ზემოქმედებს ვირუსების მხოლოდ გარკვეულ ტიპებზე იმ დროს, როდესაც გრიპ-ჰელი (Gripp-Heel) გავლენას ახდენს ზედა სასუნთქი გზების ინფექციებისთვის ტიპური ვირუსული შტამების ფართო სპექტრზე. გარდა ამისა, პრეპარატი გრიპ-ჰელი (Gripp-Heel), ისევე როგორც სხვა ჰომეოპათიური საშუალებები, კარგად გადაიტანება პაციენტების მიერ და არ იწვევს გვერდით მოვლენებს.

ამრიგად, გრიპ-ჰელი (Gripp-Heel) შეიძლება რეკომენდებული იქნას ვირუსული ინფექციების პროფილაქტიკისა და როგორც სიმპტომური, ასევე კაზუალური თერაპიისათვის.

დღეისთვის არსებული მონაცემები უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ სამი კომპლექსური ჰომეოპათიური პრეპარატის: ეუფორბიუმ კომპოზიტუმის (Euphorbium compositum), ენგისტოლის და გრიპ-ჰელის (Gripp-Heel) ანტივირუსული ეფექტურობა.

№1 ცხრილში მოყვანილია ვირუსები, რომლებზეც ზემოქმედებენ ეს პრეპარატები.

ვირუსი	Euphorbium compositum	Engystol	Gripp-Heel
ჰერპესის ვირუსი HSV1	+++	+++	+++
ადენოვირუსი 5	0	+++	++
რინოსინციტიალური ვირუსი	+++	++	+++
რინოვირუსი 14	0	+	+
A გრიპის ვირუსი	+	0	++
პარაგრპ 3 ვირუსი	++	/	+
კოქსაკი 9 ვირუსი	/	/	++

ცხრილი 1. ვირუსების შტამები, რომელთა მიმართაც ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები ახდენს ანტივირუსულ ზემოქმედებას

პრეპარატი Engystol-ის ანტივირუსული აქტივობა. in vitro ანალიზი*

**(სტატიის რეფერატი Oberbaum M, Glatthaar-Salmuller B, Stolt P, Weizer M. Antiviral activity of Engystol: an in vitro analysis. J Altern Complement Med 2005, 11 (5): 855-862)*

სასუნთქი ორგანოების დაავადებებს იწვევს რესპირატორული ვირუსები, პირველ რიგში, გრიპის ვირუსები, რინოსინციტიალური ვირუსები (რსპ) და რინოვირუსები. არსებობს ვირუსული ინფექციების თერაპიისათვის განკუთვნილი მთელი რიგი ქიმიური პრეპარატებისა (ამანტადინი, ნეირამინიდაზის ინჰიბიტორები), მაგრამ ამ პრეპარატების გამოყენება გამოხატულ გვერდით მოვლენებთან არის დაკავშირებული.

ამიტომ კვლავ აქტუალურია სისტემური გვერდითი ეფექტების არმქონე და კარგი ამტანობის პრეპარატების არსებობა. არსებული მონაცემების მიხედვით ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს პრეპარატი ენგისტოლი (Engystol) (კომპანიის „Biologische Heilmittel Heel GmbH“-ის ნაწარმი, გერმანია), რომელიც მრავალი წელია გამოიყენება ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. პრეპარატის შემადგენლობაში სხვადასხვა პომეოპათიური განზავებებში შედის ორი ძირითადი ინგრედიენტი (Vincetoxicum hirindinaria და Sulfur). ჰპრეპარატი გამოირჩევა ეფექტურობით სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციების თერაპიის დროს. ასევე ნაჩვენებია, რომ პრეპარატი ახდენს იმუნური სისტემის აქტივობის სტიმულირებას (ფაგოციტების, გრანულოციტების ფუნქციების და ჰუმორალური პასუხების აქტივობა).

აღწერილი გამოკვლევების ფარგლებში შეისწავლეს პრეპარატი ენგისტოლის (Engystol) ანტივირუსული აქტივობა ზოგიერთი ტიპის ვირუსზე. კერძოდ, გამოიკვლიეს მოქმედება ჰერპესის ვირუსზე (HSV1), რინოსინციტიალურ ვირუსზე (რსპ), ადამიანის რინოვირუსზე (HPV14), გრიპის A ტიპის ვირუსზე და ადენოვირუს 5-ზე. რეფერენტულ სუბსტანციებად გამოყენებული იყო აციკლოვირი, რიბავირინი და ამანტადინი.

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა ენგისტოლის


(Engystol) გამოხატული სარწმუნო მოქმედება ჰერპესის ვირუსზე (HSV1) და ადენოვირუს 5-ზე. რაც შეეხება რინოსინციტიალურ ვირუსსა და რინოვირუსს (HRV14), მათზე ენგისტოლის (Engystol) მოქმედება ნაკლებად იყო გამოხატული, ხოლო გრიპის A ტიპის ვირუსზე მოქმედება პრაქტიკულად არ არსებობდა. ამ ეფექტს თან ახლდა ალფა-ინტერფერონის ინდუქცია ენგისტოლის (Engystol) ზემოქმედებით.

გამოკვლევებმა აჩვენა ენგისტოლის (Engystol) ღონადამოკიდებული ანტივირუსული ეფექტი. სხვადასხვა ტიპის ვირუსების ინჰიბირების დონე ვარირებდა 80%-დან (ჰერპესის ვირუსის HSV1-სთვის) 20%-მდე (რინოსინციტიალური ვირუსისთვის). ექსპერიმენტის რამოდენიმეჯერ განმეორებისას მიიღეს იგივე შედეგები.

მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ენგისტოლის (Engystol) ეფექტურობა ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციების პროფილაქტიკისა და მკურნალობაში აიხსნება მისი ანტივირუსული მოქმედებით. იმუნოლოგიური მონაცემების გათვალისწინება მათ საშუალებას აძლევს ვირუსული ინფექციების დროს რეკომენდაცია გაუწიონ ენგისტოლს (Engystol).

სავარაუდოა, რომ ენგისტოლის (Engystol) ანტივირუსული მოქმედება განპირობებულია მისი ზემოქმედებით ვირუსების რეპლიკაციაზე პასუხისმგებელ კომპონენტებზე. შესაძლოა მოქმედებდეს სხვა მექანიზმებიც.

ენგისტოლის (Engystol) ანტივირუსული და იმუნომოლულაციური მოქმედება საშუალებას გვაძლევს, იგი გამოვიყენოთ ვირუსებით გამოწვეული სხვადასხვა ინფექციური დაავადებების დროს. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არ გააჩნია სისტემური გვერდითი მოვლენები და სხვა საშუალებებთან შეუთავსებლობის თავისებურებები.



სურ. 1. ვირუსული აქტივობის ინჰიბირების მაგალითები

„კომოტოქსიკოლოგია - ბიორეგულაციური თერაპია“ იმპრეთის რეგიონული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

2010 წლის 29 აპრილს ქ. ქუთაისში ა. ძოწენიძის სახელობის იმპრეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს და საქართველოს ბიოლოგიური მედიცინისა და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოების მიერ ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის საშუალებებით მწვავე და ქრონიკული დაავადებების მკურნალობის პრობლემებს.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია მედიცინის დოქტორის, ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის ლაბორატორიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ივეტა ერმაკის მოხსენებამ „ბიორეგულაციური - ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის საფუძვლები“ და მედიცინის დოქტორის ლევან რატიანის მოხსენებამ თემაზე „ლიმფომოზოტის ღონადამოკიდებული აქტივობა“. მან მსმენელებს გააცნო თსსუ-ს ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის უფროსის, ბიოლოგიის დოქტორის, პროფესორ თამარ სანიკიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევის შედეგები.

დამსწრე საზოგადოებას თავისი მეტად საინტერესო, და, შეიძლება ითქვას, ნოვატორული შედეგები გააცნეს: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს ნევროპათოლოგმა თამარ ჯანელიძემ და კრიტიკულ მდგომარეობათა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების რეანიმატოლოგმა მანანა მჟავანაძემ. მათ აუდიტორიას წარუდგინეს კომპლექსური მკურნალობის ოპტიმიზაციის ახალი მიდგომა იმემიური ინსულტის მკურნალობისას ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების: ტრაუმელის, ცერებრუმ კომპოზიტუმისა და ლიმფომოზოტის გამოყენებით. დიდი ინტერესი და დებატები გამოიწვია ქუთაისის სამხარეო-კლინიკური საავადმყოფოს ონკოპათოლოგიის – სოფიო ბაბგარაძის მოხსენებამ „ჰეპარ კომპოზიტუმის როლი დიზ-სინდრომის რეგულირებაში“.

კონფერენციის დასასრულს დისკუსიაში მონაწილეებმა – ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს ალერგოლოგმა მაკა ბჟალავამ და თერაპევტმა შორენა ჯაფარიძემ, წყალტუბოს რაიონული საავადმყოფოს ინფექციონისტმა

როზა ჩხლაძემ და ქუთაისის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს ჰომეოპათმა მარინა ჯავახაძემ – ისაუბრეს ბიორეგულაციური მედიცინის ფართო შესაძლებლობებზე და აქტუალობაზე. აღინიშნა, რომ სასურველია ინფორმაცია მიეწოდოს ყოველ პრაქტიკოს ექიმს. 21-ე საუკუნის დაბინძურებულ ეკოლოგიურ სიტუაციაში ახალგაზრდა ექიმების მომზადება ანტიჰომოტოქსიკოლოგიაში მეტად საჭიროა და ასეთი კონფერენციები, ტრენინგები, შეხვედრები უნდა ჩატარდეს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებშიც.

